გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულში - ძველი ქართული ხელოვნების განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

2. საკონკურსო პირობები:

პოზიციის დასახელება: ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა: 1

თანამდებობრივი სარგო: 375.00 ლარი

3. შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერილობა:

შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის სხვადასხვა ასპექტებზე მუშაობა; ყოველწლიური სამეცნიერო თემის მომზადება; კვლევითი ექსპედიციების დაგეგმვა და /მონაწილეობა; ადგილობრივ ან/და საერთაშორიოსო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სამეცნიერო სტატიების მომზადება.

4. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მეცნიერ-თანამშრომლისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მეცნიერ–თანამშრომლის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული სამეცნიერო ნაშრომი/ნაშრომები;

გ) უნდა ჰქონდეს მიღებული მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, უორკშოპი);

დ) მიმდინარე და მომავალი სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფერო უნდა იყოს შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა;

ე) უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სასწავლო ან/და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;

ვ) უნდა ფლობდეს მინიმუმ B2 დონეზე ინგლისურ ენას (ინგლისური ენის ცოდნა შემოწმდება გასაუბრებისას);

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი) (დანართი N2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მითითებით;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი.

6. კონკურსი გამოცხადების თარიღი 2022 წლის 9 დეკემბერი. საკონკურსო დოკუმეტაციის მიღება იწარმოებს 2022 წლის 9 დეკემბრიდან 2023 წლის 9 იანვრის ჩათვლით 11:00 საათიდან 17:00 საათამდე.

საკონკურსო განაცხადები მიიღება როგორც მყარი (მის. თბილისი, ათონელის N 9), ასევე ელექტრონული ფორმით ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე: g_ch_centre@yahoo.com

არჩევნების დღედ განისაზღვროს 2023 წლის 11 იანვარი.

კონკურსის შედეგები ეცნობებათ კადიდატებს 2023 წლის 13 იანვარს.

კონკურსის შედეგების გასაჩივრების ვადა – 2023 წლის 16 იანვრის 17:00 საათამდე; 2023 წლის 17 იანვარი დაეთმობა სააპელაციო კომისიის მუშაობას.

7. სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევს დროს უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭება გასაუბრებით შეფასებას.

საკონტაქტო პირი: ნანა ღარიბაშვილი 299 05 88; 599 23 54 53